

გრიპი A (H1N1) - განახლება 31

2009 წლის 17 მაისი – გრინვიჩის დროით 06:00 საათისთვის ოცდაცხრამეტმა ქვეყანამ ოფიციალურად განაცხადა გრიპის A (H1N1) ინფექციის 8480 შემთხვევის შესახებ.

მექსიკა იტყობინება 2895 დადასტურებული შემთხვევის შესახებ, 66 გარდაცვალებით. აშშ-ს მთავრობამ განაცხადა 4717 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევის შესახებ, ოთხი გარდაცვალებით. კანადამ – 496 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევის შესახებ, ერთი გარდაცვალებით და კოსტა რიკამ 9 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევის შესახებ, ერთი გარდაცვალებით.

ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევების შესახებ გარდაცვალების გარეშე აცხადებენ შემდეგი ქვეყნები: არგენტინა (1), ავსტრალია (1), ავსტრია (1), ბელგია (4), ბრაზილია (8), ჩინეთი, (5), კოლუმბია (11), კუბა (3), დანია (1), ეკვადორი (1), სალვადორი (4), ფინეთი (2), საფრანგეთი (14), გერმანია (14), გვატემალა (3), ინდოეთი (1), ირლანდია (1), ისრაელი (7), იტალია (9), იაპონია (7), მალაიზია (2), პოლანდია (3), ახალი ზელანდია (9), ნორვეგია (2), პანამა (54), პერუ (1), პოლონეთი (1), პორტუგალია (1), კორეის რესპუბლიკა (3), ესპანეთი (103), შვეცია (2), შვეიცარია (1), ტაილანდი (2), თურქეთი (1) და გაერთიანებული სამეფო (82).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია არ თვლის მიზანშეწონილად შეზღუდვის დაწესებას რეგულარულ მგზავრობებზე ან საზღვრების ჩაკეტვას გრიპის ახალი A(H1N1) ვირუსით გამოწვეული აფეთქების გამო.

დაავადებული ადამიანებისთვის მიზანშეწონილია საერთაშორისო მგზავრობების გადადება, ხოლო მათ, ვისაც მოგზაურობის შემდეგ გამოუვლინდებათ დაავადება უნდა მიიღონ სათანადო სამედიცინო მომსახურება. ესაა გონივრული ღონისძიება, რომელიც შეზღუდავს მრავალი გადაამდები დაავადების გავრცელებას, გრიპის ჩათვლით.

ინფორმაცია სიტუაციის შესახებ ხელმისაწვდომი იქნება ჯანმოს ვებ გვერდზე რეგულარულად.